ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისtრო პროგრამის დასახელება – ამერიკისმცოდნეობა /American Studies
პარტნიორი რატგერსის უნივერსიტეტი, აშშ

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი /Master of Arts in American Studies
სპეციალობა: ამერიკისმცოდნეობა/ American Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი). კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: 60 კრედიტი –სავალდებულო საგნები; 30 კრედიტი – არჩევითი საგნები; 30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია და მიზნად ისახავს როგორც თეორეტიკოსი, ასევე, პრაქტიკოსი ამერიკისმცოდნეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო: ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, ფილოსოფია, სულიერი და მატერიალური კულტურა.
სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს, ერთის მხრივ, საქართველოს თანამედროვე რეალიები, მეორე მხრივ, ამერიკული სამყაროს როლისა და მნიშვნელობის ზრდა როგორც ევროპის, ისე თანამედროვე ქართულ კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამხედრო სივრცეში; ამერიკაში ქართული დიასპორის საკითხების ცოდნის აუცილებლობა; ასევე, აშშ–საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობის გაღრმავება.
პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს მოამზადოს: ინგლისური და, სურვილისამებრ, ესპანური ენის მცოდნე პედაგოგები საქართველოს სკოლებისათვის, სადაც 2012 წლიდან არჩევით საგნად შემოდის „ამერიკისმცოდნეობა“; სამთავრობო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულები იქნებიან სხვადასხვა სფეროში აშშ–სა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმოებაში (ლათინური ამერიკის ქვეყნების სპეციალისტები საქართველოს ჯერ–ჯერობით არ ჰყოლია); არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომელთა მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული პრინციპების დანერგვა; საერთაშორისო ორგანიზაციების, მასმედიის სხვადასხვა ორგანოს მუშაკები, რომელთათვის უცხო ენების სრულყოფილად ცოდნის გარდა, აუცილებელია უფრო ფართო, მრავალმხრივი განათლება.
პროგრამის მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს მასში **სტენფორდისა და რატგერსის უნივერსიტეტების** პროფესორების მონაწილეობა, რომლებიც ჩაატარებენ ლექციების სერიას ამერიკის საზოგადოებისა და კულტურის საკითხებზე ინტერნეტის (ე.წ. ვიდეოკონფერენციების) მეშვეობით და კონსულტაციას გაუწევენ, ან უხელმძღვანელებენ სამაგისტრო ნაშრომებს.
პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო ემპირიულ და თეორიულ ცოდნას, არამედ შემდგომი ინდივიდუალური, თუ კოლექტიური სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი ამერიკისმცოდნეობაში ან ამავე მიმართულების დამატებითი (minor) პროგრამა; ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, განათლებაში, მათ დარგებში/ქვედარგებში; ბიზნეს ადმინისტრირებაში, ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში: კულტურის კვლევები, რეგიონმცოდნეობა.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- ინგლისურ ენის (B2 დონე) სასპეციალიზაციო გამოცდა ამერიკისმცოდნეთათვის შედგენილი სპეციალური ტესტების საფუძველზე.

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება** – ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს: ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, ფილოსოფიის, სულიერი და მატერიალური კულტურის; აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე, ამერიკელი ერის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის ღრმა, ინტეგრირებული და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და ეხმარება ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერებაში;
  ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს ამერიკისმცოდნეობის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ინგლისურს) და ესპანურს, არჩევის შემთხვევაში, და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

		სასწავლო დისციპლინები:
1.1	აშშ–ის კონსტიტუციის ცოდნის დაკავშირება ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან; ამ ინსტიტუტების ჩამოყალიბების გზა და მისი გაცნობიერება.	**აშშ–ის კონსტიტუციის პოლიტიკური ანალიზი** (ძირითადი); **აშშ–ის სოციალური ინსტიტუტები** (ძირითადი); **აშშ–ის პრესის პოლიტიკური ანალიზი** (არჩევითი)
1.2	სოციალური ინსტიტუტების რაობა, დანიშნულება და ფუნქციები საზოგადოების ფუნქციონირებასა და	**აშშ–ის სოციალური ინსტიტუტები** (ძირითადი); **აშშ–ის კონსტიტუციის პოლიტიკური ანალიზი** (ძირითადი);

	განვითარებაში; თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი სოციალური ინსტიტუტები (ოჯახი, განათლება, რელიგია, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და სხვ.), მათი მრავალფეროვნება და ცვალებადობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენა, პერსპექტივები. ამერიკული საზოგადოების სოციალური ინსტიტუტების, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების სიღრმისეული სოციოლოგიური ხედვა.	**აშშ–ის პრესის პოლიტიკური ანალიზი** (არჩევითი)
1.3	აშშ-ის დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის თავისუფლებების შესახებ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ეცოდინება ადგილობრივი დემოკრატიის სამი მოდელი, უფლებათა ბილი, უფლებათა ბილის გავრცელება შტატებზე, ამერიკული დემოკრატიის დილემები, სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის თავისებურებები; გააცნობერებს აშშ–ში სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების არსს, ექნება პრობლემების პოლიტიკური რეგლამენტირების დილემური, დისკუსიური ხასიათის ცოდნა. ეცოდინება თანასწორობის ცნება და მისი სახეების სიმრავლე, რას ნიშნავს საზოგადოების წევრად ყოფნა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა და ა.შ	**დემოკრატული ღირებულებები და ადამიანის თავისუფლებები** (ძირითადი); **ქალი ამერიკის პოლიტიკასა და კულტურაში** (ძირითადი); **ამერიკული დემოკრატია და პოლიტიკური აზროვნების ისტორია** (არჩევითი); **1960-იანი წლების ამერიკა** (არჩევითი)

	შეეძლება ისეთი კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, როგორიცაა: ქალთა მოძრაობა, თანასწორი შესაძლებლობანი, ასოციაცია და სეგრეგაცია, სუვერენიტეტის ცნება და შეზღუდული ძალაუფლება, თავისუფლება და ადამიანის უფლებები, ამ ცოდნის საფუძველზე შესძლებს ახალი და ორგინალური იდეების შემუშვებას, ახალი პრობლემების გადაჭრას.	
1.4	ამერიკული პრაგმატიზმისა და ევროპული ტრანსცენდენტალიზმის ღრმა და სისტემური ცოდნა. ეცოდინება აშშ–ში შეიქმნილი თავისებური კულტურისა და ორიგინალური მსოფლმხედველობის პარადიგმა, გააცნობიერებს, რომ მან ყველაზე მკვეთრი გამოხატულება ნახა პრაგმატიზმში. გააცნობიერებს პრაგმატიზმის ძირითად ცნებებსა და პრობლემებს და ეცოდინება მათი გადაწყვეტის ვარიანტები, ასევე ანალიტიკური და პრაგმატული ფილოსოფიის მიმართება, ტრანსცენდენტალიზმის როგორც ევროპული (კონტინენტური) ფილოსოფიის, აზროვნების თემა და წესი, მისი ძირითადი ცნებები და პრობლემები და მათი გადაწყვეტის ვარიანტები.	**ამერიკული პრაგმატიზმი და ევროპული ტრანსცენდენტალიზმი** (ძირითადი);
1.5	ამერიკული კონსერვატიზმის საფუძვლები და მისი ევოლუციის	**კონსერვატზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში** (ძირითადი)

	ეტაპების ცოდნა, ამერიკული პოლიტიკის ერთ–ერთი ფუძემდებლური ელემენტის დახმარებით თანამედროვე ამერიკული პოლიტიკის ურთულეს საკითხებში გარკვევა. კონსერვატიული პოლიტიკის გამტარებელი პრეზიდენტების მოღვაწეობა.	**1960-იანი წლების ამერიკა** (არჩევითი)
1.6	აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; ამერიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია იზოლაციონიზმიდან აქტიურ საერთაშორისო პოლიტიკამდე. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გავლენა საქართველოზე, ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის ეტაპები.	**ამერიკის საგარეო პოლიტიკა ჯორჯ ვაშინგტონიდან ობამამდე** (ძირითადი); **1960-იანი წლების ამერიკა** (არჩევითი); **აშშ–ის პრესის პოლიტიკური ანალიზი** (არჩევითი)
1.7	ქართულ-ამერიკული მჭიდრო ურთიერთობების ფონზე ქართული დიასპორის ისტორია XIX-XX სუკუნეების განმავლობაში, ორი ქვეყნის ურთიერთობა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ოკუპაციის შემდეგ და ემიგრაციაში. რას და როგორ მიაღწიეს ლტოლვილმა ქართველებმა ახალ სამშობლოში, რა პრობლემების და სირთულეების დაძლევა მოუწიათ და როგორი იყო ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.	**ქართული დიასპორის ისტორია აშშ–ში** (ძირითადი)
1.8	ლათინური ამერიკის ქვეყნების მე–20	**მე–20 საუკუნის ლათინური ამერიკა**

	საუკუნის ისტორიის ძირითადი ეტაპები, თარიღები, ფაქტები, სახელები; განვითარების ზოგადი პრობლემები; ეკონომიკის, პოლიტიკური სტრუქტურების და კულტურის განვითარების თავისებურებები; რეგიონის განვითარების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერთა შორის არსებული სხვადასხვა შეხედულება რეგიონის პრობლემების შესახებ. ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და საქართველოს განვითარების შედარებითი ანალიზი.	(ძირითადი)
1.9	აშშ–ის ეკონომიკის საბაზისო ცოდნა; მისი გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე; ახალი ორიგინალური თეორიები, კონცეფციები, ჰიპოთეზები; ამერიკის საზოგადოებაში ბიზნესისა და ტექნოლოგიის ადგილი; ბიზნესისა და ტექნოლოგიის კონსოლიდაციის ისტორიული პროცესი, მისი კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტი-რება.	**აშშ–ის ეკონომიკა: საბაზისო პრინციპები და განვითარების მიმართულებები** (ძირითადი); **ბიზნესი და ტექნოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში: ისტორია და კონცეფციები** (არჩევითი); **აშშ–ის პრესის პოლიტიკური ანალიზი** (არჩევითი)
1.10	მე–20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურული და სხვა მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესები; ის კულტურული ძვრები, რაც აისახა ქვეყნის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა იმ უმნიშვნელოვანესი (მათ შორის,	**მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება** (ძირითადი); **მე-20 საუკუნის ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზია და ამერიკელ ექსპატრიატთა ლიტერატურა** (არჩევითი); **1960-იანი წლების ამერიკა** (არჩევითი);

	თეორიული) ასპექტების გააზრება, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე ამერიკული კულტურა. თანამედროვე ამერიკული ლიტერატურისა და მთლიანად კულტურის, მისი საფუძვლების ცოდნის გაღრმავება.	
1.11	ამერიკული კინემატოგრაფის შესწავლის გზით, ამერიკული ყოფის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენის ცოდნა; ასევე, ამერიკული კინოსათვის დამახასიათებელი ჟანრების პოლიფონიურობა, აზრთა წარმომქმნელი სტრუქტურის კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტი-რება.	**ამერიკა და ამერიკული ყოფა აშშ-ის კინემატოგრაფში** (ძირითადი)
1.12	ამერიკული კულტურის განვითარების ცალკეული ასპექტები; აშშ-ის ქალაქებისა და ურბანული კულტურის განვითარების ეტაპები; ამერიკული ქალაქების სოციალურ-კულტურული თავისებურება; ჯაზური მუსიკის, როგორც ამერიკის ერთ-ერთი სიმბოლოს, წარმოშობისა და განვითარების უმთავრესი ეტაპები და შემსრულებლები; ამერიკული არქიტექტურის ისტორია, მისი განვითარების ტენდენციები, ცნობილი ამერიკელი არქიტექტორები და მათი შემოქმედება, თეორიები და ა.შ.	**ჯაზი და ამერიკის ურბანული კულტურა** (არჩევითი); **ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები** (არჩევითი).
1.13	თანამედროვე აშშ-ის საზოგადოების	**თანამედროვე ამერიკის რელიგიები**

	მრავალფეროვნება, მისი მახასიათებლები, განსხვავება კულტურულ და კონფესიურ ცხოვრებაში, საზოგადოებაში მათი ადგილი და როლი; აშშ-ში გავრცელებული ძირითადი რელიგიური მიმდინარეობები.	(არჩევითი)
1.14	ამერიკული ინგლისურის თავისებურებები; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლისა და ბიზნესის და სხვ. სფეროების ძირითადი ცნებები და მათთვის დამახასიათებელი ლექსიკა.	**ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის** (არჩევითი); ინგლისურენოვანი კურსები: **აშშ–ის კონსტიტუციის პოლიტიკური ანალიზი** (ძირითადი); **აშშ–ის ეკონომიკა: საბაზისო პრინციპები და განვითარების მიმართულებები** (ძირითადი); **მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება** (ძირითადი); **აშშ–ის პრესის პოლიტიკური ანალიზი** (არჩევითი); **ამერიკული დემოკრატია და პოლიტიკური აზროვნების ისტორია** (არჩევითი); **ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები** (არჩევითი); **მე-20 საუკუნის ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზია და ამერიკელ ექსპატრიატთა ლიტერატურა** (არჩევითი);

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს სპეციალობით შეუძლია მოცემულ დარგობრივ სფეროში (პოლიტიკა, ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა, ფილოსოფია, კულტურა და ა.შ.) კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, **ორიგინალური გზების ძიება,** მათ შორის, კვლევის **დამოუკიდებლად** განხორციელება **უახლესი** მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ინტერდისციპლინარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული

შესაბამისი ღრმა და სისტემური ინტერდისციპლინარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს პოლიტიკური, ისტორიული, სოციალური, ლიტერატურული, კულტურული, ლინგვისტური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადების უნარი. აშშ-საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობისა და მისი განვითარების პერსპექტივების გაცნობიერებისა და ამერიკაში ქართული დიასპორის ისტორიისა და მისი თანამედროვე პრობლემების ცოდნის გზით, ამ ურთიერთობის გაღრმავებისა და დიასპორის პრობლემების მოგვარების გზების ძიება.

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია ინგლისური (არჩევის შემთხვევაში, ესპანური A2-ის დონეზე) ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ინგლისურ და ესპანურ ენებზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.

2.1	დემოკრატული ღირებულებებისა და ადამიანის თავისუფლებების სფეროში არსებული პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამერიკული დემოკრატიზმის ანალიზისათვის აუცილებელი კონცეპტუალური მოდელის აგება. ამერიკული დემოკრატიის და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ცოდნის გამოყენება აშშ–სა და ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების, პოლიტიკური დებატების, მომავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური პროცესების ანალიზის და შეფასებისთვის. აშშ–ის კონსტიტიციის ღრმა და კრიტიკული ანალიზის შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება	**დემოკრატული ღირებულებები და ადამიანის თავისუფლებები** (ძირითადი) **ამერიკული დემოკრატია და პოლიტიკური აზროვნების ისტორია** (არჩევითი) **აშშ–ის კონსტიტუციის პოლიტიკური ანალიზი** (ძირითადი)

	ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის ანალიზისათვის.	
2.2	აშშ–ის ძირითადი სოციალური ინსტიტუტების (ოჯახი, განათლება, რელიგია, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და სხვ.) მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით; შედარებითი ანალიზის საფუძველზე თანამედროვე ქართული სოციალური ინსტიტუტების მოდელის აგება. ამერიკის ისტორიისა და რეალობის რელიგიური პლურალიზმისა და დენომინაციური ჩარჩოების პერსპექტივაში დანახვა, მათი გააზრება და გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; აშშ–ში ინტერკულტურული ურთიერთობების ტენდენციების გათვალისწინებით საკუთარ ქვეყანაში იმავე ურთიერთობების უკეთ გააზრება და მისი მოდელის აგება. სფეროში არსებული პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება პრაგმატიზმისა და ტრანსცენდენტალიზმის სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით.	**აშშ–ის სოციალური ინსტიტუტები** (ძირითადი); **თანამედროვე ამერიკის რელიგიები** (არჩევითი); **ამერიკული პრაგმატიზმი და ევროპული ტრანსცენდენტალიზმი** (ძირითადი)
2.3	აშშ–ის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით;	**ამერიკის საგარეო პოლიტიკა ჯორჯ ვაშინგტონიდან ობამამდე** (ძირითადი); **კონსერვატიზმი აშშ–ში** (ძირითადი); **მე–20 საუკუნის ლათინური ამერიკა**

	ქართულ–ამერიკული თანამშრომლობის მოდელის აგება; თანამედროვე ამერიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ტენდენციების ანალიზი; საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საქმეში დამოუკიდებლად და აქტიურად ჩართვა. ლათინური ამერიკის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; ლათინური ამერიკის ქვეყნების და აშშ–ის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით საკუთარი ქვეყნის განვითარების ცალკეული ეტაპების უკეთ გაგება და მოდელის აგება.	(ძირითადი); **1960-იანი წლების ამერიკა** (არჩევითი)
2.4	მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.	**პროგრამაში ჩართული ყველა კურსი**
2.5	აშშ–ის ეკონომიკის ღრმა და კრიტიკული ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის ანალიზი და შეფასება. ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული რევოლუციური ინოვაციების აღწერა. იმის გაშუქება, თუ როგორ არის ორგანიზებული ამერიკაში	**აშშ–ის ეკონომიკა: საბაზისო პრინციპები და განვითარების მიმართულებები** (ძირითადი); **ბიზნესი და ტექნოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში: ისტორია და კონცეფციები** (არჩევითი)

	სამთავრობო, საბიზნესო საგანმანთლებლო, სამეცნიერო სტრუქტურები და მათი წარმოჩენა ამერიკული სინამდვილის ფართო კულტურულ კონტექსტში, სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; აღნიშნული სტრუქტურების განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, საკუთარი ქვეყნის იგივე სტრუქტურების უკეთ გაგება და მათი მოდელის აგება.	
2.6	ქართული დიასპორის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; ქართული ემიგრაციის ეტაპების უკეთ გაგება.	**ქართული დიასპორის ისტორია აშშ–ში** (ძირითადი)
2.7	ამერიკელი ქალის პრობლემების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ამერიკელი ქალის როლის გათვალისწინებით საკუთარი ქვეყნის განვითარებაში ქალის როლის და მისი პრობლემების უკეთ მოგვარება	**ქალი ამერიკის პოლიტიკასა და კულტურაში** (ძირითადი)
2.8	თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ტექსტის აღქმისა და ანალიზის ლიტერატურათმცოდნეობითი უნარი. აშშ–ის მე–20 საუკუნის ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; აღნიშნულ პერიოდში აშშ–ის კულტურული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით საკუთარი ქვეყნის	**მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება** (ძირითადი) **მეოცე საუკუნის ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზია და ამერიკელ ექსპატრიატთა ლიტერატურა** (არჩევითი) **ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის** (არჩევითი)

	კულტურის განვითარების ცალკეული ეტაპების უკეთ გაგება. სამართლისა და ბიზნესის სფეროებთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის, საგაზეთო და საჟურნალო სტატიების წაკითხვა; არაფორმალური და ფორმალური პრეზენტაციების გამართვა, ცხრილებისა და გრაფიკების გამოყენება, მოლაპარაკებების წარმოების უნარი (როგორც ენობრივი, ასევე კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით), საქმიანი წერილების წერა და სხვა.	
2.9	მხატვრული ფილმების ტექსტის აღქმისა და ანალიზის უნარი; კავშირის დამყარება არქიტექტურას, ურბანიზმს, დიზაინს და ზოგადად კულტურას (მუსიკას, თეატრს, კინოს, ფოტოგრაფიას, ლიტერატურას, პოეზიასა და ფილოსოფიას) შორის. ამერიკული არქიტექტურის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; მისი განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით საკუთარი ქვეყნის კულტურის განვითარების უკეთ გაგება და მოდელის აგება; ჯაზური მუსიკის განხილვა ამერიკის სხვა სახელოვნებო ფორმებთან მიმართებაში. ურბანული კულტურის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება სფეროსთვის დამახასიათებელი უახლესი მასალების გამოყენებით; მისი განვითარების ცალკეული ეტაპების უკეთ გაგება.	**ამერიკა და ამერიკული ყოფა აშშ-ის კინემატოგრაფში** (ძირითადი) **ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები** (არჩევითი) **ჯაზი და ამერიკის ურბანული კულტურა** (არჩევითი)

- **დასკვნის უნარი** –

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან ვითარების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

- **კომუნიკაციის უნარი** –

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზემონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია ინგლისურ ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის ესპანურენოვანი (ესპანური ენის არჩევის შემთხვევაში) წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავისი აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეის დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

- **სწავლის უნარი** –

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია მუშაობის დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღირებულებები** –

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.
მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
ისეთ მრავალეროვან და მრავალრელიგიურ საზოგადოებაში, როგორიც საქართველოა, ტოლერანტობის, როგორც ერთ–ერთი აუცილებელი ღირებულების დამკვიდრება და დაცვა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექციები, დისკუსია–სემინარები, ტესტური გამოკითხვევი, შუალედური გამოცდები, ესეის, რეფერატისა და სხვა სამეცნიერო ნაშრომების წერა, ზეპირი ჯგუფური პრეზენტაციები PP-ში;

(ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 _ ფრიადი, A; 81-90 _ ძალიან კარგი, B; 71-80 _კარგი, C; 61-70 _ დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 _ საკმარისი, E; 41-50 _ ვერ ჩააბარა, FX; 0-40 _ ჩაიჭრა, F. ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები
აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ამერიკისმცოდნეობის** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული **ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი** მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი **ამერიკისმცოდნეობის** დარგში სამეცნიერო-კვლევითი, ანალიტიკური, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, საარქივო-სამუზეუმო, სარეფერენტო და სხვა საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს შესაბამის კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ამავდროულად, მაგისტრის ხარისხი სტუდენტებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს. პედაგოგიურ სექტორში

(მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფ. **ელენე მეძმარიაშვილი**
კონსულტანტი: რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი **მაიკლ როკლენდი**

დამატებითი ინფორმაცია: სტუდენტები აბარებენ ინგლისურ ენას, როგორც სპეციალობის საგანს.
სწავლების პროცესში, აქტიურად არის ჩართული პროგრამის კონსულტანტი, რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ როკლენდი. გათვალისწინებულია მისი ერთობლივი კურსი ქართველ პროფესორთან ერთად. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ამერიკელი პროფესორებიც, რომლებიც სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ჩაატარებენ ლექციების მოკლე კურსს ან ჩაატარებენ ცალკეულ ლექციებს. ასევე, გათვალისწინებულია პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორების ინტერნეტ კურსებიც (დამატებითი დაფინანსების პირობით, სპეციალური გრანტით, ან პირადად სტუდენტის ხარჯით).

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური
რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 3

ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პედაგოგები

1. **ელენე მეძმარიაშვილი** – ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი (ისტორია, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სოციალური და ქალთა საკითხები, ქართული დიასპორა აშშ-ში)
2. **მაიკლ როკლენდი** – რატგერსის უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი, თსუ ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კონსულტანტი (სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელი, კონსულტანტი)
3. **ვასილ კაჭარავა** – ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი (ისტორია, საშინაო და საგარეო პოლიტიკა)
4. **ანასტასია ზაქარიაძე** – ფილოსოფიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ამერიკული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (ფილოსოფია)
5. **თემურ კობახიძე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი, მეტეხის უნივერსიტეტის სრული პროფესორი (ფილოლოგია)

6. **ეთერ ოკუჯავა –** შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (ხელოვნება, კინო)
7. **ქეთევან როსტიაშვილი** – პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი (პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტები)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 4

მატერიალურ –ტექნიკური ბაზა

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო ბიბლიოთეკების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა, შესაბამისი ვიდეო და აუდიოტექნიკა.

ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია:

- 5000-მდე წიგნი (სამეცნიერო, ინფორმაციული, დოკუმენტური, მხატვრული)
- 120-ზე მეტი DVD (სასწავლო, დოკუმენტური და მხატვრული მასალა)
- 120-მდე ვიდეო კასეტა (სასწავლო, დოკუმენტური და მხატვრული მასალა)
- DVD ფლეიერი
- ვიდეომაგნიტოფონი
- პროექტორი
- ტელევიზორი
- მუსიკალური ცენტრი
- კომპიუტერი (6 ცალი)
- მაგიდა (11 ცალი, აქედან 5 დიდი, 6 პატარა)
- სკამი (40 ცალი)
- სავარძელი (5 ცალი)
- რუკები (5, კედლის)
- ეკრანი
- თეთრი დაფა
- კომბაინი (ქსეროქსი+ პრინტერი)

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ამერიკანისტიკის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ამერიკისმცოდნეობა**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ასოცირებული პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 60 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკუმ	ლექცია–პრაქტიკუმებისა თვის	შუალედური გამოცდის/გამოც	დასკვნითი გამოცდის			შემოდგომა	გაზაფხული	
	აშშ-ის კონსტიტუციის ანალიზი (ინგ.)	5	30	30	49	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ქეთევან როსტიაშვილი
	მე–20 საუკუნის ლათინური ამერიკა	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ელენე მეძმარიაშვილი/გიორგი კლდიაშვილი
	თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება (ინგ)	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თემურ კობახიძე
	ამერიკული პრაგმატიზმი და	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ანასტასია ზაქარიაძე

	კონტინენტური ტრანსცენდენტალიზმი											
	ამერიკული კონსერვატიზმი	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ვასილ კაჭარავა
	აშშ-ის საგარეო პოლიტიკა (ჯ.ვაშინგტონიდან ობამამდე)	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ვასილ კაჭარავა
	აშშ-ის სოციალური ინსტიტუტები	5	15	30	60	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნათელა დონაძე
	ამერიკა და ამერიკული ყოფა აშშ-ის კინემატოგრაფში	5	15	30	60	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ეთერ ოკუჯავა
	ქალი ამერიკის კულტურასა და პოლიტიკაში	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ელენე მეძმარიაშვილი
	ქართული დიასპორის ისტორია აშშ-ში	5	15	30	60	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		რუსუდან დაუშვილი
	დემოკრატიული ღირებულებები და ადამიანის უფლებები ამერიკაში	5	30	30	45	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ანასტასია ზაქარიაძე
	აშშ–ის ეკონომიკა: საბაზისო პრინციპები და განვითარების მიმართულებები (ინგ)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		დავით აფციაური
არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	ამერიკული დემოკრატია და პოლიტ აზროვნების ისტორია (ინგ)	5	30	15	60	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	მამუკა დოლიძე
	ბიზნესი და ტექნოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში: ისტორია და კონცეფციები	5	30	15	60	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		გიორგი ანთელავა
	აშშ-ის პრესის პოლიტიკური ანალიზი (ინგ)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ქეთევან როსტიაშვილი
	ესპანური ენა 1(ამერიკისმცოდნეთათვის)	5		45	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნინო აფხაიძე
	ესპანური ენა 2(ამერიკისმცოდნეთათვის)	5		45	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნინო აფხაიძე
	ესპანური ენა 3 (ამერიკისმცოდნეთათვის)	5		45	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ნინო აფხაიძე

	ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები (ინგ)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ლენა კილაძე
	ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის (ინგ)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქეთევან ანთელავა
	ჯაზი და ამერიკის ურბანული კულტურა (ინგ)	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ზურაბ ქარუმიძე
	მე-20 საუკუნის ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზია და ამერიკელ ექსპატრიატთა ლიტერატურა (ინგ)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		თემურ კობახიძე
	თანამედროვე ამერიკის რელიგიები (სასემინარო)	5	30	15	60	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე		II	გიორგი კლდიაშვილი
	სპეც.სემიანრი ინგლისურ ენაში - ამერიკელ ქალთა ნარატივების ანალიზი	5	15	30	69	4	4	3	წინაპირობის გარეშე	IIII		ქეთი ანთელავა
	არჩევითი კურსები სხვა პროგრამებიდან											
	ფოლკნერის რომანის პოეტიკა და მოდერნიზმი (ანგლისტიკა)	5	15	15	75	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მანანა გელაშვილი
	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების დინამიკაში (ანგლისტიკა)	5	15	15	75	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	II		ელენე გაბუნია
	ამერიკული ლიტერატურა ისტორიულ და ფილოსიფიურ კონტექსტში კოლონიალური პერიოდიდან XIXს. ბოლო მეოთხედამდე (ანგლისტიკა)	5	15	15	75	4+4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ელენე გაბუნია
	ესპანური ენის ლათინოამერიკული								წინაპირობის გარეშე	I		მ. კობეშავიძე

	ვარიანტი (რომანული ფილოლოგია)	5	15	15	77	4	9	5				
	კოლონიალური ლიტერატურის « ბუმი» (რომანული ფილოლოგია)	5	15	15	77	4	9	5	წინაპირობის გარეშე	III		ს. ფეიქრიშვილი
	გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური იდენტობა (ფილოსოფია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	X		ა. ყულიჯანიშვილი
	ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფია (პოლიტიკური ფილოსოფია)	5	30	15	60	8	9	3	პოლიტიკური ფილოსოფია		X	ა. ზაქარიაძე
	ალექსის დე ტოკვილის პოლიტიკური ფილოსოფია(პოლიტიკური ფილოსოფია)	5	30	15	60	8	9	3	პოლიტიკური ფილოსოფია	X		ი. ბრაჭული
	თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება (კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. ჭოღოშვილი
	პოსტმოდერნიზმი (კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. ჭოღოშვილი
	ტერორიზმი აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ახალი და უახლესი ისტორია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ელენე მეძმარიაშვილი
	რეფორმები თუ რევოლუცია: დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის მაგალითზე(ახალი და უახლესი ისტორია)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
	ქალი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში (ახალი და უახლესი ისტორია)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ელენე მეძმარიაშვილი
	ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი (ახალი და უახლესი ისტორია, II მოდული, არაბისტიკის სამაგისტრო	5	30	15	63	4	10	3	წინაპირობის გარეშე		II	ნანი გელოვანი

	პროგრამიდან)											
	ლათინური ამერიკა საერთაშორისო ურთიერთობებში (ახალი და უახლესი ისტორია, IV მოდული)	5	15	30	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	I		გივი ბოლოთაშვილი
	ცივი ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა (ახალი და უახლესი ისტორია)	10	45	45	120	16	20	4	წინაპირობის გარეშე		II	ისტ. დოქტ. გივი ბოლოთაშვილი
	მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია (ახალი და უახლესი ისტორია)	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ასოც. პროფ. ია ხუბაშვილი
	მეორე მსოფლიო ომის ისტორია (ახალი და უახლესი ისტორია)	10	45	45	128	8	20	4	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. თ. პაპასქირი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი